23/07/2026

ისრაელმა ქრისტეს ნათლობის 2000 წლისთავისთვის მზადება დაიწყო



ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უფლის ნათლისღების 2000 წლისთავის მომზადება დაიწყო. სადღესასწაულო ღონისძიებები მდინარე იორდანეზე 2030 წელს არის დაგეგმილი. ამის შესახებ იუწყება Times of Israel.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდეონ საარმა მომზადების ხელმძღვანელად დანიშნა ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის სპეციალური წარმომადგენელი ჯორჯ დიკი. ჯგუფი გამართავს დიალოგს მთელ მსოფლიოში არსებულ ეკლესიებთან და სასულიერო პირებთან, რათა მოაწყოს ღონისძიება, რომელსაც „ღრმა სულიერი მნიშვნელობა” აქვს მთელი მსოფლიოს ორი მილიარდი ქრისტიანისთვის. სახელმწიფო უწყებები უკვე კოორდინირებენ ქმედებებს მომლოცველების მისაღებად.

„ქრისტიანულ სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობების გამყარება და მილიონობით მორწმუნისთვის წმინდა მიწაზე წვდომის უზრუნველყოფა ისრაელის უმაღლეს პრიორიტეტებს შორისაა”, – განაცხადა გიდეონ საარმა. მინისტრმა დაპირება გასცა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს რწმენის თავისუფლების დაცვასა და ყველა კონფესიის წარმომადგენლისთვის სიწმინდეებთან დაუბრკოლებელ წვდომას.

sazu.ge